„ლელო" ინტერვიუ

# ჩვენი ოლიმპიური იმედი — ახალგაზრდობა




წლეულს გაიმართება დიდი ღონისძიება — სსრ კავშირის მოზარდთა I საზაფხულო სპორტული თამაშები. ეს ასპარეზობა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს ეძღვნება და მას წინ უსწრებს რესპუბლიკური თამაშები. ჩვენში ეს საინტერესო ასპარეზობა თბილისში, გორში, ცხინვალში, ფოთში, ბათუმსა და ქუთაისში ჩატარდება. ამ საკითხთან დაკავშირებით „ლელოს" კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს სსრ სპორტკავშირის მოსწავლე ახალგაზრდობისა და სტუდენტთა განყოფილების გამგეს, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს ა. დოკვაძეს. აი, ეს ინტერვიუც:

**● რა მიზანს და ამოცანებს ემსახურება მოზარდთა რესპუბლიკური საზაფხულო სპორტული თამაშები?**

— უპირველეს ყოვლისა, იგი მიზნად ისახავს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფართოდ დანერგვას ახალგაზრდობის ყოფაცხოვრებაში, მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის შემდგომ პოპულარიზაციას ჩვენს ჭაბუკებსა და ქალიშვილებში. გარდა ამისა, ჩვენი ამოცანაა სპორტის ძირითადი სახეობების ყოველმხრივ განვითარება, ტექნიკური მაჩვენებლების ამაღლება, ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლინება, რომლებიც შეავსებენ სხვადასხვა ნაკრებ გუნდს. ახალგაზრდობა ხომ ჩვენი ოლიმპიური იმედია!

**● როგორია თამაშების ჩატარების წესი და პირობები?**

— შეჯიბრება ტარდება სამ ეტაპად. პირველი ეტაპი (რაიონული, საქალაქო, საოლქო) უკვე განვლილია, ხოლო მეორე ეტაპი (რესპუბლიკური) ახლახან დაიწყო: ქუთაისში მოჭადრაკეებმა ჩართეს საათები. თანდათანობით სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებიც ჩაებმებიან შეჯიბრებაში. ფინალური ტურნირების ჩატარებისას (როგორც რესპუბლიკური, ისე საკავშირო მასშტაბით) ერთდროულად გათამაშდება საქართველოსა და სსრ კავშირის მოზარდთა პირველობანი სპორტის ცალკეულ სახეობებში. მესამე ეტაპი ითვალისწინებს მოზარდთა I საკავშირო თამაშების ფინალს. უმრავლეს სახეობებში ფინალური შეჯიბრებები გაიმართება კიევში (ივლისის მეორე ნახევარი), რამდენიმე სახეობის წარმომადგენლები კი დონეცკში, ლვოვსა და დნეპროპეტროვსკში იასპარეზებენ.

**● სპორტის რომელ სახეობებში ტარდება შეჯიბრებები და რა ვადებში?**

რესპუბლიკური თამაშების ფინალურ ასპარეზობათა გრაფიკი ასეთია:

**აკრობატიკა.** თბილისი. 26-28 ივნისი.
**ბადმინტონი.** გორი. 26-28 ივნისი.
**კრივი.** თბილისი. 21-23 მაისი.
**თავისუფალი ჭიდაობა.** თბილისი. 25-27 მაისი.
**კლასიკური ჭიდაობა.** თბილისი. 18-20 მაისი.
**სამბო.** ცხინვალი. 26-28 ივნისი.
**საგზატკეცილო ველორბოლა.** გორი. 26-28 ივნისი.
**მხატვრული ტანვარჯიში.** თბილისი. 26-28 ივნისი.
**ნიჩბოსნობა.** ფოთი. 26-28 ივნისი.
**მძლეოსნობა.** თბილისი. 22-24 მაისი.
**წყალში ხტომა.** ბათუმი. 26-28 ივნისი.
**ხელბურთი.** ფოთი. 22-27 მაისი.
**თანამედროვე ხუთჭიდი.** თბილისი. 25-29 ივნისი.
**ტყვიის სროლა.** თბილისი. 25-28 ივნისი.
**მაგიდის ჩოგბურთი.** თბილისი. 21-25 მაისი.
**ფარიკაობა.** თბილისი. 25-29 ივნისი.
**ჭადრაკი.** ქუთაისი. 16-25 მაისი.



რიგაში მწყობრში ჩადგა კიდევ ერთი სპორტული ნაგებობა — „შრომითი რეზერვების" სპორტის სახლი. ახალ შენობაში განლაგებულია კრივის, ჭიდაობის, მხატვრული ტანვარჯიშისა და სპორტული თამაშობების დარბაზები. ეს უკანასკნელი ყველაზე დიდია (30×18 მ). სპორტის სახლის გვერდით მოწყობილია იპოდრომი, რომელიც უახლოეს ხანში „შრომითი რეზერვების" ცენტრალურ სტადიონად იქცევა. ეს კომპლექსი ერთ-ერთი უდიდესი იქნება ქალაქში.

• • •

სურათზე: ვარჯიშობს რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე, სპორტის ოსტატი დიანა ურბანა.

ფოტო გ. ნიკოლაევისა (საკდეს).

**გუშინ...**

კუიბიშევში „კრილია სოვეტოვმა" საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში დაამარცხა ალმა-ათის „კაირატის" ფეხბურთელები (2:0), ხოლო მოსკოვში „ლოკომოტივისა" და „ზენიტის" თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

# რეკორდსმენი II ადგილზე

ლუგანსკში გრძელდება სსრ კავშირის ჩემპიონატი ძალოსნობაში. უძლიერესნი კიდევ ორ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. ქვემსუბუქ წონაში დაძაბული ბრძოლა იყო მოსალოდნელი სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონ ე. ქარიმოვსა (ტაშკენტი) და სსრ კავშირის რეკორდსმენ დ. შანიძეს (თბილისი) შორის. ეს მართლაც ასე მოხდა. ბოლო მოძრაობამდე გაურკვეველი იყო, თუ ვინ გახდებოდა ჩემპიონი: ორივეს ერთნაირი მაჩვენებელი — 225 კგ ჰქონდა. ბოლო მოძრაობაში შანიძე სსრ კავშირის რეკორდსმენია. ამჯერად იგი თავის შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდა და მხოლოდ 145 კგ აჰკრა. ქარიმოვმა იმარჯვა — 150 კგ აჩვენა, საბოლოოდ 375 კგ დააგროვა და ჩემპიონის ოქროს მედალიც მოიპოვა.

შემდეგ ორივე სპორტსმენი შეეცადა 153 კგ-ის დაძლევას, რაც ნახევარი კილოგრამით მეტია ამერიკელი ი. ბერგერის მსოფლიო რეკორდზე, მაგრამ ამაოდ.

შანიძემ სამჭიდში 370 კგ დააგროვა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. სამაგიეროდ, ატაცში მან 110 კგ აჩვენა და ჩემპიონის ოქროს მცირე მედალი მოიპოვა.

სამჭიდში III ადგილზე გავიდა ადგილობრივი სპორტსმენი ნ. ვარავა — 362,5 კგ.

აჭიმვაში სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მცირე მედალი ერგო ვ. უხანოვს (კრივოი როგი) — 115 კგ. ქარიმოვს დარჩა ოქროს მედალი აკვრაში — 150 კგ.

მსუბუქი წონის ათლეტთა ჭიდილში გაიმარჯვა 30 წლის მოსკოველმა სტუდენტმა ნ. ნოგაიცევმა, რომელმაც შეინარჩუნა ჩემპიონის წოდება. მასვე დარჩა ოქროს მცირე მედალი ატაცში — 127,5 კგ. სამჭიდში II ადგილზე გავიდა ე. გირკო (სალავათი) — 410 კგ. სამაგიეროდ, მან ოქროს 2 მცირე მედალი მოიპოვა: აჭიმა 132,5 და აჰკრა 160 კგ.

სამ დღეში ათლეტებმა ვერც მსოფლიო და ვერც საკავშირო რეკორდი ვერ დაამყარეს, რაც უთუოდ აქვეითებს შეჯიბრებისადმი ინტერესს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 96 (3580)

18 1968 წ. მაისი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

# პრესის ყურადღების ცენტრში

რომი, 17 მაისი. იტალიური პრესა კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს თავისი ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მომავალ ნახევარფინალურ შეხვედრას ევროპის პირველობაზე სსრ კავშირის გუნდთან. როგორც გაზეთი „ტოტოგუიდა" წერს, იტალიელთა მწვრთნელს ვალკარეჯის საბჭოთა ნაკრები ინგლისელებზე ნაკლებად საშიშ მეტოქედ მიაჩნია. მაგრამ გაზეთი არ ეთანხმება მწვრთნელს და აღნიშნავს: „ობიექტურად რომ ვილაპარაკოთ, არ შეიძლება ითქვას, რომ სსრ კავშირის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონებზე — ინგლისელებზე სუსტია. ძნელი სათქმელია, თუ როგორ ფორმაში არიან დღეს იუგოსლაველები, მაგრამ ერთი რამ ცხადია: რუსებიცა და ინგლისელებიც ათლეტური ფეხბურთის წარმომადგენლები არიან. მათ თამაშს ძალიან კარგად ვიცნობთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაკრებთა დონეზე ჩვენ მათ ჯერჯერობით ვერ ვუტოლდებით, ვინაიდან ჩვენს გუნდში თავდამსხმელთა ათლეტური მომზადება დაბალ დონეზე დგას.

სსრ კავშირის ნაკრების თამაშს ვალკარეჯი საკუთარი ხუთი თითივით უნდა იცნობდეს, ნეაპოლს კი თავისი მხურვალე გულშემატკივრებით შეუძლია დაეხმაროს მას. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ვალკარეჯი თავად უნდა დაეხმაროს თავის თავს. საბჭოთა ნაკრების წინააღმდეგ საჭიროა თამაში და გუნდი ძლიერი უნდა იყოს მარცხენა გარემარბიდან დაწყებული — მეკარემდე".

„კორიერე დელო სპორტის" კორესპონდენტი ე. დე ჩეზარი საბჭოთა ნაკრებისადმი მიძღვნილ დიდ წერილში კერძოდ აღნიშნავს, რომ „ნეაპოლში სსრ კავშირის გუნდი ისეთ იერიშებს ვერ განავითარებს, როგორც მოსკოვში. მას ისეთ მეტოქესთან როდი ექნება საქმე, როგორიც უნგრეთის ნაკრებია. მეორეს მხრივ, ჩვენ არ შეგვიძლია შევიქმნათ ილუზია, თითქოს საბჭოთა გუნდი ისე ითამაშებს, როგორც ბუდაპეშტში. ნეაპოლში ყოველივე 90 წუთში, ან, უკიდურეს შემთხვევაში, 120 წუთში უნდა გადაწყდეს და საბჭოთა ფეხბურთელები ყველაფერს იღონებენ გამარჯვების მოსაპოვებლად".

გაზეთი „ტუტოსპორტი" იტყობინება, რომ „სკუადრა ადზურა" ფინალური ტურნირისთვის მოსამზადებლად პატარა სამთო ქალაქ ფიუჯიში შეიკრიბება, ხოლო ნახევარფინალური მატჩის წინ დაბა ვიკო ეკუენსეში ჩაატარებს შეკრებას.

# ახალი ამბები

● გრადეც-კრალოვე, 16 მაისი. გაიმართა მშვიდობის XXI ველორბოლის კიდევ 2 ეტაპი. VI ეტაპი: პრაღა — გრადეც-კრალოვე (145 კმ) მოიგო ბელგიელმა ჟ. მოტერსმა — 3:27.30. VII ეტაპმა კი, რომელიც 119 კმ-ს უდრიდა და ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქის გარშემო რბოლაში გამოიხატებოდა, ორმაგი წარმატება მოუტანა ბელგიელ სპორტსმენებს. მათ ყველას აჯობეს გუნდურ ჩათვლაში, პირადში კი კვლავ უძლიერესი იყო მოტერსი — 2:50.11. ამრიგად, უკან დარჩა დისტანციის ნახევარი. I ადგილზეა საბჭოთა ველომრბოლელი ვ. ჩერკასოვი — 30:40.33. II ადგილზე გავიდა გდრ-ის წარმომადგენელი ა. პეშელი, რომელიც ჩერკასოვს 24 წამით ჩამორჩება. გუნდურ ჩათვლაში ლიდერობენ გდრ-ის ველომრბოლელები — 92:01.36. საბჭოთა ველოსიპედისტები V ადგილზე არიან — 92:21.50.

● ლენინგრადი, 16 მაისი. აქ დამთავრდა რსფსრ-ს, ყაზახეთის, ესტონეთის, ლატვიის, ლენინგრადისა და მოსკოვის ოლქის თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატთა შეჯიბრება. გაიმარჯვა ლენინგრადელმა ს. ივანოვმა — 4932 ქულა. გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ლენინგრადი, 2. ესტონეთი, 3. მოსკოვის ოლქი.

# წყალბურთელები ემზადებიან

## აას-ის კორესპონდენტის კითხვებზე პასუხს იძლევა სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ა. გლიუმენტალი

— პირველ ყოვლისა, მინდა ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ ახლახან დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატს ჩვენ განვიხილავთ როგორც მექსიკის თამაშებისთვის საბჭოთა ნაკრების მომზადების პირველ ეტაპს. თუ ყურადღებით ადევნებდით თვალს პირველობის მსვლელობას, ბუნებრივია, შეამჩნევდით, რომ ოლიმპიური კანდიდატები თავიანთი კლუბების სახელით გამოდიოდნენ. ფეხბურთისა და კალათბურთის საკავშირო ფედერაციების ხელმძღვანელებისაგან განსხვავებით, ჩვენ გადავწყვიტეთ მოწინავე სპორტსმენები არ გამოგვეძახნა თავიანთი გუნდებიდან. მიგვაჩნია, რომ სწორად მოვიქეცით. მხოლოდ ოფიციალურ, უშელავათო ბრძოლაში შეიძლება გაიგო ამა თუ იმ მოთამაშის ნამდვილი ფასი.

● **ახლა რამდენი წყალბურთელია მიწვეული ნაკრებში საწვრთნელად, გამოჩნდნენ თუ არა ოლიმპიური გუნდის ახალი კანდიდატები პირველობის მსვლელობის დროს და როგორ წარიმართება შემდგომი მზადება მექსიკური ბატალიებისთვის?**

— ქვეყნის ჩემპიონატის წინ წყალბურთის საკავშირო ფედერაციამ გამოაქვეყნა საუკეთესო წყალბურთელების სია შარშანდელი სეზონის შედეგების მიხედვით. სიაში 9 კლუბის 21 სპორტსმენი შევიდა და ყველა მათგანი მექსიკოში გამგზავრების პრეტენზიას აცხადებს. საკავშირო ტურნირში თავი გამოიჩინეს ვ. გულიაევმა — ჩვენმა უძლიერესმა მეკარემ და მისმა კოლეგამ ი. მეტრიანინმა. დაცვაში ჩინებული თამაშით ბრწყინავდნენ მოსკოველი დინამოელები გ. ჩიქვანაია და ბ. გრიშინი, ტორპედოელი ვ. პუშკარიოვი. საუცხოო ბომბარდირია ლ. ოსიპოვი (მოსკოვის უნივერსიტეტი), მოთამაშე, რომელსაც გამუდმებით მეტოქის კარისკენ უჭირავს თვალი. ეს სპორტსმენები გამოცდილი, ცნობილი ოსტატები არიან.

ახალგაზრდებიდან პირველ ყოვლისა გამოვყოფდი მოსკოველ მეზღვაურთა გუნდის წევრს, 20 წლის ა. აკიმოვს და კიეველ დინამოელს, 19 წლის გ. ბონდარენკოს. მხიბლავს თავდამსხმელი ვ. სკოკის (მოსკოვის „დინამო") თამაში. იგი ნამდვილი იმპროვიზატორია „მინდორზე". ძალიან მომწონს ა. დრევალიც (მოსკოვის უნივერსიტეტი), წყალბურთელი, რომელიც კარში ზუსტად და ძლიერად ტყორცნის. კარგი რეაქციის უნარი აქვს ლენინგრადის „ბალტიკის" მეკარეს ბ. ერიომინს. ყველა ამ წყალბურთელს უახლოეს ხანში გამოვცდით ნაკრებში.

ორიოდე სიტყვა გუნდის გეგმებზე. მაისში განზრახულია უძლიერესი საბჭოთა წყალბურთელების მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში. ავგისტოში ჩვენში (თბილისი, ბათუმი, სოხუმი) ჩატარდება დიდი საერთაშორისო ტურნირი ჰოლანდიის, ბულგარეთის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

● **ჩატარებულმა ჩემპიონატმა ალბათ უხვი საზრდო მოგცათ ფიქრისთვის?**

— პირველობის მსვლელობისას მოწინავე გუნდების თამაშში ბევრი ნაკლი შევამჩნიეთ. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ერთი: ახალი წესების წყალობით თანამედროვე წყალბურთი ძალიან ცოტათი ჰგავს იმ თამაშს, რომელიც 6-7 წლის წინათ იყო დანერგილი. თუ გახსოვთ, მაშინ გუნდები არც ისე იშვიათად 20-დან 15-18 წუთს უთანაბრო შემადგენლობებით ატარებდნენ (წესების დარღვევისთვის წყალბურთელს აუზიდან აძევებდნენ პირველ გოლამდე). ბურთი ხშირად გადიოდა იმ გუნდის კარის ბადეში, რომელიც უმცირესობით თამაშობდა. ახლა წესები შეიცვალა: სპორტსმენს აუზიდან მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში აძევებენ. „მინდორზე" გაჩაღებულია ბრძოლა წყალბურთელებისა, რომლებიც ერთმანეთს გამუდმებით მეურვეობენ. ასეთი მკაცრი მეთვალყურეობის პირობებში ბურთის გატანა ძალიან გაძნელდა. სამწუხაროდ, როგორც ჩემპიონატმა გვიჩვენა, თამაშიდან ბურთის გატანის პროცენტი თვალსაჩინოდ შემცირდა.

თანამედროვე თამაშს დიდი სისწრაფე ახასიათებს. მაღალი ტემპი მთელი მატჩის მანძილზე არ იცვლება. მაგრამ, როგორც წესი, წყალბურთელთა უმრავლესობა მოთამაშის საუკეთესო თვისებებს — ბურთის იოლად ფლობას და ზუსტ ტყორცნას მხოლოდ საშუალო ტემპით თამაშის დროს ავლენს. ჩვენი წყალბურთელები ჯერჯერობით სრულყოფილად ვერ დაეუფლნენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სისწრაფის ტექნიკას", ესე იგი, ყველა ილეთის სწრაფად შესრულებას. ეს ნაკლოვანება აღმოიფხვრება, თუ ვარჯიშის დროს გუნდები მეტ ყურადღებას მიაქცევენ ტექნიკის სრულყოფას.

იქნებ ზედმეტად შარიანი ვარ, მაგრამ ვიმეორებ, ყველა შემჩნეულ შეცდომას „ოლიმპიურ საცერში" ვატარებ.

საერთოდ, საბჭოთა წყალბურთის დონე საკმაოდ მაღალია. დაოსტატდნენ გუნდები, რომლებიც დიდხანს ვერ სცილდებოდნენ გათამაშების ცხრილის შუაგულს. დავასახელოთ, მაგალითად, ლენინგრადის „ბალტიკა". კოლექტივების უმრავლესობაში თანაბარმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. მწვრთნელები ქკვიანურად სარგებლობენ შეცვლით. დაცვაში თითქმის ყველა კლუბი პრესინგით შეიარაღდა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტები. მოსკოველმა დინამოელებმა მთელ რიგ მატჩებში გამოიყენეს რთული გადაწოდებანი იმ მიზნით, რომ მეტოქის კარისკენ ერთადერთი სწორი გზა მოენახათ. ამიტომ სსრ კავშირის ჩემპიონებს ყველაზე მეტი ბურთი აქვთ გატანილი.

● **თქვენი აზრით, რომელი გუნდები აცხადებენ პრეტენზიას ოლიმპიურ ოქროზე?**

— ეს ყველაზე იოლი შეკითხვაა. ჩვენი ნაკრების გარდა, უნგრეთი, იუგოსლავია, გდრ, იტალია, ჰოლანდია, რუმინეთი. აი, გუნდები, რომელთაც საპატიო კვარცხლბეკზე ასვლა შეუძლიათ. მეხიკოს შარშანდელ ოლიმპიურ რეპეტიციაში გამარჯვება თამაშებში წარმატების ნაღდ გარანტიას არ გვაძლევს: ოლიმპიადაში გამარჯვებისთვის ბრძოლა მოგვიწევს!



# ლახეფაში გაიშალა ტურისტული კარვები

ქუთაისის დოსააფისა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით ამას წინათ მოეწყო კომკავშირის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მოტოციკლისტთა ლაშქრობა. მარშრუტი ასეთი იყო: ქუთაისი — ტვიში — ნიკორისძირი — ლახეფა — ხვამლის ძირი — ოყურეში — წყალტუბო — ქუთაისი. სალაშქროდ გაემგზავრა 8 მოტოციკლისტი: დ. წითური, უ. მიქელთაძე, გ. კუჭავა, შ. ტყემალაძე, ჯ. რაზმაძე, ზ. შალიკიანი, გ. ღვინეფაძე და მ. შვანგირაძე.

ლაშქრობის მონაწილეებმა ბევრი დაბრკოლება გადალახეს: მძიმე, ტალახიან ბილიკს ალაგ-ალაგ თოვლი ცვლიდა. დიდი სიძნელეების მიუხედავად, მოლაშქრეებმა გვიან ღამით ტურისტული კარვები გაშალეს ლახეფაში.

მეორე დილით დავზვერეთ ხვამლის მთის მიდამოები, მაგრამ თოვლის საფარი თანდათან მატულობდა და გადავწყვიტეთ გზა სოფელ ოყურეშისკენ გაგვეგრძელებინა. საღამოს ოყურეშში ჩავედით. სოფლის ახალგაზრდობამ საზეიმო შეხვედრა მოგვიწყო, შემდეგ კი ქუთაისში დავბრუნდით.

**ლ. ფაჩუაშვილი,**
**მოლაშქრეთა ჯგუფის ხელმძღვანელი.**

ქუთაისი.

* * *

**სურათებზე: ლაშქრობის მომენტები.**

**ფოტო ავტორისა.**

# ფარნაოზ ჩიქვილაძის სახელობისა...

შარშან ლაგოდეხის რაიონული გაზეთის — „გამარჯვების დროშის" რედაქციამ საინტერესო შეჯიბრებას ჩაუყარა საფუძველი. ესაა რაიონული თასის გათამაშება ქართულ ჭიდაობაში, რომელიც უდროოდ დაღუპული სახელმოხვეჭილი ქართველი ფალავნის ფარნაოზ ჩიქვილაძის სახელს ატარებს.

წლევანდელ ასპარეზობაში გარდამავალი ჯილდოსთვის 9 გუნდი იბრძოდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სოფელ ლელიანის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის მოჭიდავეთა ნაკრები და ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გუნდი. ანგარიშით 6:2 გაიმარჯვეს ტექნიკუმელებმა და გარდამავალი თასიც დაისაკუთრეს.

**ფ. კვირიკაშვილი.**
**(ჩვენი კორ.).**

ლაგოდეხი.

# XX საიუბილეო

მთელ კვირას გაგრძელდა ბათუმის მოსწავლეთა საქალაქო, XX საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მძლეოსნობაში. სარბიელზე სულ 611 სპორტსმენი გამოვიდა. უნდა აღინიშნოს, რომ მაჩვენებლები წლეულს უკეთესი იყო, ვიდრე წარსულ წლებში. ჩემპიონობა მოიპოვა მე-20 საშუალო სკოლის კოლექტივმა. II ადგილზე გავიდნენ 24-ე საშუალო სკოლის, III — მე-3 საშუალო სკოლის მძლეოსნები.

**მ. ცუხელიშვილი.**

ბათუმი.

# [illegible]

### ადიგენი

აქ დამთავრდა სოფლის სკოლების მძლეოსანთა რაიონული პირველობა, რომელშიც 6 საშუალო და 4 რვაწლიანი სკოლის მოსწავლეები ჩაებნენ. შეჯიბრების 30 მონაწილემ სხვადასხვა თანრიგის ნორმატივები შეასრულა.

**ნ. მამულაშვილი,**
**ადიგენის სპორტული სკოლის დირექტორი.**

### ახმეტა

რაიონის 4 საშუალო სკოლის ხელბურთელ ჭაბუკთა გუნდები მონაწილეობდნენ მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებაში. I ადგილი დაიკავა ახმეტის მე-2 საშუალო სკოლის ნაკრებმა. II ადგილზე გავიდნენ მატნის, ხოლო III — ახმეტის 1-ლი საშუალო სკოლის წარმომადგენლები.

**შ. ნათელაური.**

# კომისიამ იმსჯელა

გაიმართა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ვ. მარღანიძის მოხსენება აჭარაში სპორტული მოედნებისა და ბაზების მშენებლობის შესახებ.

აღინიშნა, რომ ბოლო ხანს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობა, გაიზარდა ფიზკულტურელთა რაოდენობა, სექციების შემადგენლობა, მოეწყო ფეხბურთის 4 მინდორი, ფრენბურთის 14, კალათბურთის 7, ხელბურთის 3 მოედანი, რეკონსტრუქცია გაუკეთდა ქობულეთის ფეხბურთის სტადიონს და სხვ.

სხდომაზე აღინიშნა ნაკლოვანებებიც, რაც განსაკუთრებით სოფლად შეიმჩნევა. ითქვა, რომ ფიზკულტურულ მუშაობას ყურადღება არ ექცევა ქობულეთის რაიონის წყავროკისა და სოფელ ქობულეთის, ბათუმის რაიონის სოფელ განთიადის, დაბა მახინჯაურის, ერგეს, აჭარისწყლის, ახალშენის, გონიოს კოლმეურნეობებში, სალიბაურის, მახვილაურის საბჭოთა მეურნეობებში... დაბა მახინჯაურში, სადაც 8 ათასამდე მცხოვრები და 15 ფიზკულტურული კოლექტივია, არა აქვთ კომპლექსური მოედანი, სოფელ ახალშენში საიუბილეო სპარტაკიადის შემდეგ შეწყვიტეს სპორტბაზის მშენებლობა, ხოლო სოფლებში ერგესა და აჭარისწყალში არსებული მოედნები გადახნეს.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრებმა — დეპუტატმა მ. ზაქარიაძემ; „კოლმეურნის" აჭარის საოლქო, ბათუმისა და ქობულეთის რაიონული საბჭოების თავმჯდომარეებმა თ. ბოლქვაძემ, ვ. ჭყონიამ, ო. ლეჟავამ; სპორტკავშირის ბათუმის საქალაქო, ბათუმისა და ქობულეთის რაიონული საბჭოების თავმჯდომარეებმა ე. თხილაიშვილმა, რ. ჩახვაძემ, ი. მკავანაძემ, აჭარის ასსრ სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის უფროსმა ინსპექტორმა შ. მამინაშვილმა.

კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება და აღნიშნული საკითხი განსახილველად გადასცა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. ხახუტაშვილი.

**მ. ომანიძე.**
**(ჩვენი კორ.).**

ბათუმი.

# შესაძლებლობა არის, მონდომება — არა

საქართველოს შაქრის კომბინატის საქარხნო კომიტეტმა ფიზკულტურის კოლექტივის ავ-კარგზე ამ ორი წლის წინათ იმსჯელა. სხდომის ოქმში აღინიშნა ნაკლოვანებები: გადაწყვიტეს ფეხბურთელთა გუნდის სისტემატური წვრთნის მოწესრიგება, თანრიგოსანთა მომზადება, საწარმოო ტანვარჯიშის აღდგენა...

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ არც დადგენილება გახსენებიათ, არც მისი შესრულების შემოწმება. ინსტრუქტორები იცვლებოდნენ, საერთო სურათი უცვლელი რჩებოდა. დავიწყებას მიეცა საამაყო ტრადიციები ჭიდაობასა და ფეხბურთში. ამ კომბინატის სპორტსმენები ერთ დროს რესპუბლიკურ სარბიელზე გამოდიოდნენ, ახლა მათგან რაიონის ნაკრებშიც არავინ არის. არ ჩანს საზოგადოებრივი კადრების ძალა, არ მუშაობენ სექციები. ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო მხოლოდ სამუშაო გეგმის შედგენას სჯერდება. შარშან სპორტლონისძიებათა კალენდრით გათვალისწინებული რამდენიმე შეჯიბრება ჩაიშალა.

სათანადო ყურადღება არც საწარმოო ტანვარჯიშს ექცევა, არც საშუალო და უფროსი ასაკის მშრომელთა სხვა მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს.

სხვათა შორის, კომბინატში შესანიშნავი პირობებია მასობრივი ფიზკულტურული საქმიანობის მაღალ დონეზე დაყენებისთვის. დავიწყოთ თუნდაც ბაზებით. კომბინატის კომპლექსს ბევრი შენატრებდა, მაგრამ ამ სპორტულ მოედნებზე აგარელი მოსწავლეები რომ არ ვარჯიშობდნენ, ბაზა ერთიანად გაპარტახდებოდა. გამოუყენებელია ხელოვნური ტბა, სადაც სეზონურად ცურვაც შეიძლება, წყალში ხტომაც და ნიჩბოსნობაც.

საქარხნო კომიტეტი სასწავლო-სპორტული მუშაობისა და ინვენტარისთვის ყოველწლიურად 800 მანეთს გამოჰყოფს, საქმით კი არაფერი ჩანს.

დასასრულ ესღა დაგვრჩენია ვიკითხოთ: რისთვის აძლევენ გასამრჯელოს ფიზკულტურის მეთოდისტს ს. მახარობლიძეს?

**თ. ბაჩეჩილაძე.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

დ. აგარა,
ქარელის რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ა" კლასი I ჯგუფი

## ფაქტები, ციფრები, კომენტარები

სსრ კავშირის ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი შედგა კიევში, სადაც ადგილობრივმა დინამოელებმა მიიღეს ცსკა. ანგარიში გახსნა კიეველმა საბომ, რის შემდეგ პუზაჩმა მეორედ აიძულა არმიელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა შეძლო მოსკოველმა შულიატიცკიმ მატჩის დასასრულს. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:1.

16 მაისს ყურადღების ცენტრში იყო მოსკოვის სპარტაკელთა მატჩი მინსკის „დინამოსთან". ანგარიში გახსნა სპარტაკელმა ევლენტიევმა, მე-40 წუთზე კი მოსკოველები კიდევ უფრო დაწინაურდნენ. მათ გაითამაშეს ასეთი კომბინაცია: ჰუსაინოვი — ამბარცუმიანი — ოსიანინი. მეკარის მიერ მოგერიებულ ბურთს მიუსწრო იანკინმა და ზუსტად გაგზავნა იგი კარში — 2:0. შესვენების შემდეგ დინამოელებმა ძლიერად ითამაშეს, მაგრამ მხოლოდ ერთი საპასუხო ბურთის გატანა შეძლეს (სახაროვი).

სიურპრიზი მოხდა ოდესაში. აქაურმა „ჩერნომორეცმა" ანგარიშით 1:0 დაამარცხა მოსკოვის „დინამო". გოლის ავტორია შიმანოვიჩი.

– ჩემპიონატის ცხრილში პირველი გამარჯვება ჩაიწერეს როსტოვის არმიელებმა, რომლებმაც მიიღეს კიროვაბადის „დინამო". აუტსაიდერთა შეხვედრაში დაწინაურდნენ მასპინძლები (ბუროვი), მაგრამ მაგერამოვმა მალე აღადგინა თანაფარდობა — 1:1. შემდგომში კოპაევმა 2 ბურთი გაიტანა დინამოელთა კარში და გამარჯვებაც როსტოველებს დარჩათ — 3:1. აღსანიშნავია კიროვაბადელ ფეხბურთელთა უდისციპლინო საქციელი. მსაჯი იძულებული იყო მინდვრიდან გაეძევებინა მათი ნახევარმცველი ბატრაევი.

დაძაბულად მიმდინარეობდა „შახტიორის" შეხვედრა „არარატთან". დონეცკელებს მთელი თამაშის განმავლობაში უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ გუნდი დასჯერდა ერთადერთ ბურთს, რომელიც ლობანოვსკიმ გაიტანა ერევნელთა კარში — 1:0.

* * *

17 მაისისთვის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი იყო „სპარტაკის" ნახევარმცველი ვ. იანკინი — 5 გოლი. 4-4 ბურთის ავტორები არიან გ. გავაშელი („დინამო", თბილისი), დ. ვეკუა („ტორპედო", ქუთაისი), რ. ატამალიანი, ბ. ტრეშნიკოვი (ორივე — „ლოკომოტივი"), ბ. კაზაკოვი („კრილია სოვეტოვი").

## გამარჯვება არც ისე იოლია

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 16 მაისი.

„დინამო" (თბილისი) — „ზარია" (ლუგანსკი) 2:0 (1:0).

„დინამო": კოტრიკაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ქელიძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ხსათიანი (ლ. ნოდია), მეტრეველი, ხინჩაგავა, გავაშელი.

„ზარია": ტკაჩენკო, შულეენკო, რაშჩუპკინი, დეგტიარევი, შკლიარი, გალუსტოვი, ბალაბა, ანანჩენკო (სატაევი), სტრელცოვი (სერგეევი), შაკუნი, რაზდაევი.

მსაჯი ნ. ხაჩატუროვი (მოსკოვის ოლქი).

დინამოელთა განვლილმა მატჩმა „ზარიასთან" ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ უმაღლეს ლიგაში აღარ არიან სუსტი მოწინააღმდეგეები, უფრო სწორად, რომც საგრძნობლად ძლიერი იყოს ერთი გუნდი მეორეზე თავისი საერთო კლასით, მოგება მას იოლად არ მიეცემა ხელთ. 2 ქულის აღებას, როგორც წესი, ძალების სრული მობილიზება ჭირდება. თანამედროვე ტაქტიკამ თავისი მრავალრიცხოვანი „ბეტონებით" და „ზებეტონებით" ასწავლა სუსტებს რაციონალური თამაშის ხერხები, ასწავლა, თუ როგორ უნდა მინიმალური დანაკარგით ბრძოლა.

ასე იყო ლუგანსკელებთან მატჩშიც: მთელ თამაშში „ზარია" სულ რამდენიმეჯერ გადავიდა კონტრშეტევაზე, მაგრამ როგორც უნდა წარმართულიყო მისი იერიში, გუნდი უკანა ხაზში ტოვებდა ერთით მეტ დამზღვევ მცველს, ვიდრე იქ „დინამოს" თავდამსხმელი იყო. ეს „ზარიას" წესად საკუთარი შეტევისას აქვს, ხოლო, როცა ბურთი მისი კარის მიმართულებით მოძრაობს, მცველთა რიცხვი წარმოუდგენელი პროგრესიით იზრდება. 6, 7, 8 მცველი „ზარიას" საჯარიმო მოედანზე ჩვეულებრივი მოვლენაა.

რა თქმა უნდა, ძნელია დაცვის ასეთი მასირებული რიგების დაძლევა და სწორედ ამიტომ მით უფრო მეტი აქტიურობის, ფრცელი მანევრის გამოვლენა მართებს თვითეულ თავდამსხმელს, რომელიც მოპირდაპირე საჯარიმო მოედანზე გამოჩნდება. აქ კი სასაყვედურო გვაქვს გავაშელის მიმართ, რომელიც დასაწყისში ინერტულობას იჩენდა და თავს არიდებდა უშუალო ბრძოლას „ზარიას" მცველებთან. მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა გამოეჩინა გავაშელს თავისი სრული უნარი, რომ ლუგანსკელთა კართან წამსვე გოლის საშიშროება შექმნილიყო. ასევე მოხდა 33-ე წუთზეც. კოტრიკაძემ კარიდან მოაწოდა ბურთი და ეს მოწოდება გამოდგა კომბინაციის დასაწყისი. ბურთი მიიღო ასათიანმა, სწრაფად გადასცა წინ გავაშელს და ჩვენმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა იმოქმედა ისე, როგორც ეს საჭირო იყო: წამის დაუკარგავად, მაშინვე გავიდა ორ სტოპერს შორის და ზუსტად დაარტყა დაბალ კუთხეში—1:0.

საკმაოდ ძნელი გამოდგა მეორე ტაიმის დასაწყისი. „ზარიას" გაძლიერებული ძალები საგრძნობ წინააღმდეგობას უქმნიდნენ დინამოელებს მინდვრის შუაგულში. თბილისელები რატომღაც შეჯგუფდნენ, მოკლე გადაცემებზე და ბურთის ტარებაზე გადავიდნენ, რაც სტუმრებს აძლევდა ხელს. ამ დაძაბულ ვითარებაში თავისი სიტყვა თქვა მეტრეველმა. „ზარიას" კართან წარმოებული შეტევისას 58-ე წუთზე მან მოულოდნელი დარტყმით, მოტრიალებით გაგზავნა ბურთი კარის მაღალ კუთხეში. მეტრეველმა ეს გააკეთა ისე ოსტატურად, რომ მეკარე უძლური იყო გოლისგან ეხსნა კარი.

დანარჩენ დროში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა მინდორზე. ლუგანსკელები შეურიგდნენ გარდუვალ მარცხს, ხოლო თბილისელები დასჯერდნენ ორ „მშრალ" ბურთს.

**რ. ჭორიძე.**

სურათზე: პირველი გოლი ლუგანსკელთა კარში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



## მოგება ახლოს იყო...

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 16 მაისი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „ნეფტჩი" (ბაქო) 0:0.

„ტორპედო": კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ებრალიძე, ხზაიძე, ასიტაშვილი (ჭოლაძე), ზარია, ერქომაიშვილი, ვეკუა, ხაჟალია (წულაია), ჭითანავა.

„ნეფტჩი": კოსენკოვი, ა. ბაბაევი, სიომინი, ი. ბაბაევი, ტროფიმოვი (იუმაკულოვი), სემიგლაზოვი, ტუაევი, ლიოგკი (ალი-ზადე), ზეინალოვი, სტეკოლნიკოვი, ხმოლნიკოვი.

მსაჯი ბ. ხოლოვიოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 0:0.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ისტორიაში ბაქოელებს საგრძნობი უპირატესობა აქვთ ქუთაისის „ტორპედოსთან" — 7 მოგება, 2 წაგება და 3 ფრე. საჭირო იყო ამ არასახარბიელო ტრადიციის შეცვლა და, გარდა ამისა, ქუთაისელებს თავიანთი სატურნირო მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებლად ჭირდებოდათ გამარჯვება.

პირდაპირ უნდა ითქვას, გუნდი ძალიან ახლოს იდგა გამარჯვებასთან. თამაშის მსვლელობაში მრავლად იყო მომენტები, რომლებსაც ტორპედოელთათვის უნდა მოეტანათ ესოდენ საჭირო 2 ქულა, მაგრამ ეს შესაძლებლობანი გამოუყენებელი დარჩა და ბაქოელები იღბლად გადაურჩნენ აშკარა მარცხს.

ეს ზემოთქმული განსაკუთრებით ეხება მეორე ტაიმს. შესვენებამდე ბრძოლას შედარებით თანაბარი ხასიათი ჰქონდა და ბურთი უმთავრესად მინდვრის შუაგულში ტრიალებდა, თუმცა, 22-ე წუთზე ვეკუას შეეძლო გოლის გატანა (კოსენკოვმა გამედული ნახტომით იხსნა კარი). ასეთივე მომენტი შეიქმნა „ტორპედოს" კართან, როცა კვასხვაძემ მოიგერია ტუაევის ძლიერად დარტყმული ბურთი.

დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, კოსენკოვს ხელიდან გაუვარდა ბურთი და ი. ბაბაევმა „ერთი ფეხით" დაასწრო მასპინძელთა თავდამსხმელებს. გოლის გატანის რეალური შესაძლებლობანი ჰქონდათ ვეკუას, ჭითანავას, ხაჟალიას, მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა ერქომაიშვილი. ყველა ამ მომენტში გოლი თითქოს გარდუვალი იყო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში ქუთაისელთა ფორვარდები ნაჩქარევად, არაზუსტად ურტყამდნენ. საბოლოოდ, ბაქოელებმა შეძლეს თავიანთი კარის უვნებელყოფა.

**შ. ნიჟარაძე.**

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 8 | 5 | 3 | 0 | 13—6 | 13 |
| „დინამო" (კიევი) | 9 | 4 | 5 | 0 | 11—5 | 13 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 9 | 4 | 3 | 2 | 12—6 | 11 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 8 | 4 | 3 | 1 | 7—3 | 11 |
| „ნეფტჩი" (ბაქო) | 8 | 4 | 2 | 2 | 8—2 | 10 |
| „დინამო" (თბილისი) | 8 | 4 | 2 | 2 | 7—8 | 10 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 7 | 4 | 1 | 2 | 11—7 | 9 |
| ცსკა | 8 | 2 | 5 | 1 | 8—6 | 9 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 8 | 3 | 3 | 2 | 6—7 | 9 |
| „ზარია" (ლუგანსკი) | 9 | 3 | 3 | 3 | 6—9 | 9 |
| „დინამო" (მინსკი) | 8 | 3 | 2 | 3 | 7—5 | 8 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 8 | 2 | 4 | 2 | 9—10 | 8 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 7 | 1 | 5 | 1 | 7—6 | 7 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 9 | 2 | 3 | 4 | 6—8 | 7 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 9 | 2 | 2 | 5 | 8—14 | 6 |
| „არარატი" (ერევანი) | 8 | 1 | 3 | 4 | 5—8 | 5 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 8 | 2 | 1 | 5 | 6—10 | 5 |
| სკა (როსტოვი) | 8 | 1 | 3 | 4 | 10—15 | 5 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 9 | 0 | 5 | 4 | 6—15 | 5 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 8 | 1 | 2 | 5 | 3—11 | 4 |

## 11-მეტრიანი დარტყმით...

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 15 მაისი.

„დინამო" (ბათუმი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 1:0 (1:0).

„დინამო": კვახაძე, ჩხაიძე, ქორიძე, სირბილაძე, გიორგიაძე, ილურიძე, კვიტაიშვილი, ხაბიბულინი, გიორგაძე, ოვანესიანი, ვერულიძე.

„სპარტაკი": კონფედერატი, მიქიკაშვილი, პლიევი, ხუდოევი, კოჩიევი, ძადოევი, ზაზროევი, აბაევი (ტოლჩინიკოვი), პაპელიშვილი, კაიშაური, სავიდი.

მსაჯი ა. ეფრემოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 0:0.

ორჯონიკიძის „სპარტაკთან" მატჩს ბათუმელთათვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. გათამაშების ამ ეტაპზე ორივე მეტოქეს ძალზე ესაჭიროებოდა ქულები და ამ გარემოებამ უაღრესად გაამწვავა თამაში. მე-7 წუთზე კაიშაურმა დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერად დაარტყა კარში და ბურთი მოხვდა ძელს. ამის შემდეგ სპარტაკელებმა კიდევ ორი სახიფათო მომენტი შექმნეს კუთხურ მოწოდებათა შედეგად, მაგრამ მალე მდგომარეობა გათანაბრდა და კონფედერატმა ძნელი ბურთები აიღო ვერულიძისგან.

33-ე წუთზე ერთ-ერთი მცველის ხელით თამაშისთვის „სპარტაკის" კარში დაინიშნა პენალტი და ვერულიძემ ანგარიში გახსნა — 1:0.

თითქმის მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში უპირატესობა სტუმრებს ჰქონდათ. დინამოელთა კართან ბევრი სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ კვახაძე და მცველები თავგამოდებით მოქმედებდნენ. ბათუმელებმა გაუძლეს მეტოქის იერიშებს და შეინარჩუნეს მეტად საჭირო გამარჯვება.

**ო. მურვანიძე.**

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## მეშახტეთა ქულა

ტყიბული. „განთიადის" სტადიონი. 15 მაისი.

„მეშახტე" (ტყიბული) — „ტორპედო" (ტაგანროგი) 1:1 (0:0).

„მეშახტე": ძიძიგური, ყანჩაველი, ჩუბინიძე, ლორთქიფანიძე, ჩიტიანი, ჯიშკარიანი, შარაშენიძე, თოდიძე, გიორგობიანი, დავითულიანი, აუშტროვი.

„ტორპედო": კაცუბა, ტიმოშევსკი, ავცინოვი, ვარშავსკი, მარმაზა, ივანოვი, ეროხინი, პანკრატოვი, ბორისენკო (კურნოსოვი), სპისარენკო, გრიგორიევი.

მსაჯი ვ. ვასოვსკი (მოსკოვის ოლქი).

დუბლიორები — 2:0 „ტორპედოს" სასარგებლოდ.

მასპინძლებმა თავიდანვე სწრაფი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს და საერთო ინიციატივაც დაეუფლნენ. მე-20 წუთზე კომბინაცია დავითულიანი — აუშტროვი ძლიერი დარტყმით დამთავრდა, მაგრამ ტორპედოელები მარცხს ძელმა გადაარჩინა. მართალია, რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდათ სტუმრებსაც (მაგალითად, ჩუბინიძემ მ აშკარა ხიფათს გადაარჩინა თავისი გუნდი), მაინც უპირატესობა „მეშახტეს" ჰქონდა.

შესვენების შემდეგ ტყიბულელებმა კიდევ უფრო მოუმატეს ტემპს და აი, 52-ე წუთზე დავითულიანმა ზუსტი დარტყმით დაამთავრა შარაშენიძისა და ჩიტიანის მიერ გათამაშებული კომბინაცია — 1:0.

ამ წარმატებას მეტი დამაჯერებლობა უნდა შეეტანა „მეშახტის" თამაშში, მაგრამ ტორპედოელები საბრძოლოდ იყვნენ განწყობილი და მალე ბორისენკომ შეძლო საპასუხო ბურთის გატანა.

შემდგომში მეშახტეებს ბევრს ეცადნენ გადამწყვეტი ბურთის გატანას, მაგრამ ამაოდ.

**ზ. ჯორჯაძე.**

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

„ა" კლასი I ჯგუფი

## სხვა შეხვედრები

თბილისის „ლოკომოტივს" გასვლითი შეხვედრა ჰქონდა მახაჩყალაში, ადგილობრივ „დინამოსთან". თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

ქვეჯგუფში სხვა მატჩები დამთავრდა ასე: „შირაკი" (ლენინაკანი) — „თერგი" (გროზნო) 3:1, „ვოლგა" (ულიანოვსკი) — „ზენიტი" (იჟევსკი) 0:1, „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) — „სტროიტელი" (უფა) 2:2, „ვოლგარი" (ასტრახანი) — „ზვეზდა" (პერმი) 3:0, „ვოლგა" (გორკი) — „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) 2:0.

# ტალი — გლიგორიჩი 5,5 : 3,5

**ბელგრადი, 16 მაისი.** აქ დამთავრდა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩი მ. ტალსა (სსრ კავშირი) და ს. გლიგორიჩს (იუგოსლავია) შორის. IX პარტია, რომელიც წინადღით ტალის უპირატესობით გადაიდო, მოიგო საბჭოთა დიდოსტატმა. ამრიგად, ტალმა ვადამდე მოაგროვა 5,5 ქულა, რაც მატჩში გამარჯვებისთვის საკმარისი იყო. ჭადრაკის გვირგვინისთვის ბრძოლის შემდგომ ეტაპზე — ნახევარფინალში — საბჭოთა დიდოსტატი შეხვდება ვ. კორჩნოი (სსრ კავშირი) — ს. რეშევსკის (აშშ) მატჩში გამარჯვებულს. (საკდესი).

**ჩვენი კომენტარი**

მოხდა ის, რასაც ბევრი ელოდა: ტალმა მოიგო ძნელი ორთაბრძოლა. I პარტიის წაგებამ და შემდეგ უფერულმა ყაიმებმა შეაშფოთეს ტალის გულშემატკივრები. ა. კობლენცს, საბჭოთა დიდოსტატის მწვრთნელს, მიაჩნდა, რომ მისი აღზრდილი ტაქტიკურ შეცდომებს უშვებდა, მაგრამ VI პარტიის მოგებით ტალმა ყველას დაუმტკიცა, რომ ნამდვილი ბრძოლა წინ იყო. VII, VIII და IX პარტიებში მან 2,5 ქულა მოაგროვა და ბრძოლაც დასრულდა.

ამ მატჩის შემოქმედებითი მხარე ალბათ ვერც ერთ მეტოქეს ვერ დააკმაყოფილებს, თუმცა ზოგიერთ პარტიაში ტალმა პოზიციური თამაშის საუცხოო ტექნიკა გამოავლინა.

აღსანიშნავია ტალის მისწრაფება ენდშპილისკენ. ადრე თამაშის ამ უაღრესად ღრმად შესწავლილ სტადიას იგი შეგნებულად თავს არიდებდა. ამ მატჩში, როგორც სსრ კავშირის ჩემპიონატში, ნიჭიერი დიდოსტატი საუცხოოდ თამაშობდა ენდშპილს.

აი, მატჩის VI პარტია.

**გლიგორიჩი — ტალი**

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 კb4+ 4. კd2 a5 5. მc3 0—0 6. e3 d6 7. ლc2 მbd7 8. a3 კ:c3 9. კ:c3 ლe7 10. კe2 a4 11. 0—0 b6 12. მd2 კb7.

გლიგორიჩმა თავი აარიდა ნიმცოვიჩის დაცვას, მაგრამ ახალინდურ დაცვაშიც ვერას გახდა. პოზიცია თანაბარია. გლიგორიჩმა, როგორც ჩანს, ორი კუს შემტევი ძალის გამოყენება მოიწადინა და საიერიშოდ განეწყო.

13. e4 c5 14. e5 მe8 15. f4.

ეს სვლა საჭირო რომ არ ყოფილიყო, იუგოსლაველის იერიში მიზანს მიაღწევდა. მაგრამ ამ პაიკის წინსვლით მან შესამჩნევად დაასუსტა g1—a7 დიაგონალი, რაც ტალმა მაქსიმალურად გამოიყენა.

15. ... cd 16. კ:d4 de 17. fe მ:e5 18. კ:b6.

პაიკს აგებდა 18. კ:e5 ლc5+ და ლ:e5.

18. ... მd6 19 კd4 მf5 20. კ:e5 ლc5+ 21. ეf2 ლ:e5 22. მf3 ლc5.

ეტლის დამბა ძალზე უსიამოვნოა. გლიგორიჩი გათავისუფლებას ცდილობს, მაგრამ ამაოდ.

23. ლc3 ეfd8 24. ლb4 ლa7 25. c5 ეab8 26. ლc3 ეbc8 27. ეd1 (მუქარა იყო 27. ... ეd5) 27. ... ე:d1+ 28. კ:d1 ე:c5 29. ლb4 კc6.

ტაქტიკური შეცდომა, რომლის მსგავსი ტალმა რამდენიმეჯერ დაუშვა მატჩში. სწრაფად იგებდა 29. ... კ:f3 30. gf მe3.

30. ლf4 ეd5 31. კe2 h6 32. მe5 კe8 33. g4 g5 34. ლc4 ე:e5 და გლიგორიჩი დანებდა, რადგან 35. gf ე:f5 შემდეგ მისი პოზიცია უიმედოა.

**თ. ნინოშვილი.**



## კორჩნოი მიზანთან ახლოსაა

**ამსტერდამი, 17 მაისი.** ხანმოკლე ფიქრის შემდეგ ამერიკელმა დიდოსტატმა ს. რეშევსკიმ გუშინ საღამოს გადადებული VI პარტია ჩააბარა ვ. კორჩნოის. ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 4,5:1,5 საბჭოთა მოჭადრაკის სასარგებლოდ. ახლა კორჩნოი მიზანთან ახლოსაა: დარჩენილ ოთხ პარტიაში მას სულ 1 ქულა ესაჭიროება მეოთხედფინალურ მატჩში გამარჯვებისთვის.

## ლარსენი არ ჩქარობს

**პორეჩი, 17 მაისი.** ბ. ლარსენისა (დანია) და ლ. პორტიშის (უნგრეთი) ორთაბრძოლის V პარტია ყაიმით დასრულდა. დანიელი მოჭადრაკე ანგარიშში უპირატესობას ინარჩუნებს — 3,5:2,5.

## სპორტული ინფორმაცია

◆ **ლოზანა, 17 მაისი.** გუნდური შეჯიბრებებით დღეს აქ დაიწყო ევროპის ძიუდოისტთა ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობს 20 სახელმწიფოს 152 ათლეტი. ეს სარეკორდო მაჩვენებელია. ძიუდოსადმი ასეთი ინტერესი შემთხვევითი როდია: ჭიდაობის ეს სახეობა ხომ 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებში შედის! ყველაზე საპატიო ოქროს მედალს — გუნდური გამარჯვებისთვის — ერთმანეთს 11 ქვეყნის სპორტსმენები ეცილებიან. საბჭოთა მოჭიდავეებმა ფინალის გზაზე უკვე დაამარცხეს იტალიისა (5:0) და შვეიცარიის (4:0 ნაკრები გუნდები. ამავე ჯგუფში მოასპარეზე გდრ-ის კოლექტივმა აჯობა ჩეხოსლოვაკიელებს (4:1), მაგრამ ჰოლანდიელებთან მწვავე ბრძოლაში წაგების სიმწარე იწვნია — 2:3. მეორე ჯგუფში კონტინენტის შარშანდელმა ჩემპიონმა — გფრ-ის ნაკრებმა სძლია იუგოსლავიისა (3:1) და ინგლისის (4:0) წარმომადგენლებს. მანამდე ინგლისელებმა გაიმარჯვეს ბელგიის ნაკრებთან ჭიდილში — 4:1.

◆ **მონტევიდეო, 17 მაისი.** არგენტინის ფეხბურთელთა გუნდი „ესტუდიანტესი“ პირველად დაეუფლა სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასს. პირველ ფინალურ მატჩში საკუთარ მინდორზე ლა-პლატაში მან ანგარიშით 2:1 დაამარცხა ბრაზილიის „პალმეირასი“, მაგრამ სან-პაულუში გამართულ საპასუხო შეხვედრაში წაგების სიმწარე იწვნია და მხოლოდ ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებულ მესამე, დამატებით თამაშში იზეიმა გამარჯვება — 2:0. ახლა „ესტუდიანტესი“ საკონტინენტთაშორისო თასის მატჩში უნდა შეხვდეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელს, რომელიც 29 მაისს გამოვლინდება ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან ლისაბონის „ბენფიკა“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“.

◆ **რომი, 17 მაისი.** 5-16 ივლისს კუნძულ სიცილიაზე გაიმართება ევროპის კალათბურთელ ქალთა XI ჩემპიონატი. მოასპარეზე გუნდები წინასწარი თამაშების ჩასატარებლად სამ ჯგუფად არიან დაყოფილი. 5-8 ივლისს ეს შეხვედრები გაიმართება: პალერმოში (ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, ბულგარეთი, პოლონეთი), კატანიასა (სსრ კავშირი, ჰოლანდია, გფრ, ბელგია) და რაგუზაში (გდრ, იუგოსლავია, უნგრეთი, საფრანგეთი). ქვეჯგუფებში I-II ადგილებზე გასული გუნდები, აგრეთვე, იტალიის ნაკრები (როგორც ჩემპიონატის ორგანიზატორი ქვეყნისა) შეადგენენ ფინალურ ჯგუფს, სადაც გათამაშდება I-VII ადგილები. ფინალური მატჩები მესინაში გაიმართება.

◆ **დუბლინი, 17 მაისი.** ირლანდიისა და პოლონეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფრედ დამთავრდა — 2:2. შესვენებამდე ლიუბანსკიმ (პენალტით) და იაროსიკმა ორი ბურთი გაიტანეს მასპინძელთა კარში, მეორე ტაიმში კი ირლანდიელებმა ორივე გოლი გაქვითეს.

◆ **სკოპლე, 17 მაისი.** მაკედონიის დედაქალაქში 2-4 ივლისს გაიმართება ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. როგორც ტანიუგის სააგენტო იუწყება, საორგანიზაციო კომიტეტს უკვე მოუვიდა პირველი 8 განაცხადი. სსრ კავშირის, ბულგარეთის, რუმინეთის, გდრ-ისა და საბერძნეთის გუნდები სრული შემადგენლობებით იასპარეზებენ.

ჭადრაკი



ქალთა საერთაშორისო ტურნირში 5 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ე. კაკაბაძე — 3,5 (1), ნ. ხუბულური, ა. ჩაიკოვსკაია — 3,5-3,5, ა. ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია), ტ. ზატულოვსკაია (ბაქო), ა. სკეგინა (მოსკოვის ოლქი), ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი) — 3-3.

V ტური. მ. სანაძე — ხუბულური 0:1, ე. ნიუნმერტი (გდრ) — ც. კობაიძე 0:1, კ. ვრეკენი (ჰოლანდია) — პოლიქრონიადე 0,5:0,5, ერეტოვა — ჩაიკოვსკაია 0,5:0,5, კაკაბაძე — სკეგინა 1:0, ჟ. ვერეცი (უნგრეთი) — თ. ხუგაშვილი 1:0, ც. კახაბრიშვილი — ქ. რაძიკოვსკა (პოლონეთი), ზატულოვსკაია — ნ. ალექსანდრია (ორივე პარტია გადაიდო).

# დაწინაურდა ელისო კაკაბაძე

ჩვეულებრივ, ლიდერთან ყველა თავგამოდებით თამაშობს, ლიდერები კი ერთმანეთთან ყაიმს სჯერდებიან. როგორც ჩანს, კაკაბაძე, რომელმაც სკეგინას მძაფრი ბრძოლა გაუმართა, ამ დაუწერელ კანონს არ ემორჩილება. სიცილიურ დაცვაში მან დროებით პაიკი შესწირა და საგრძნობლად დაასუსტა მეტოქის მეფის პოზიცია, მსუბუქი ფიგურების გაცვლის შემდეგ კი მეფეს შეუტია.

აი, ეს პარტიაც:

**კაკაბაძე — სკეგინა**

1. e4 c5 2. მf3 d6 3. კb5+ კd7 4. კ:d7+ ლ:d7 5. 0—0 მf6 6. ეe1 e6 7. c3 კe7 8. d4 cd 9. cd d5 10. მe5 ლc8 11. მc3 de 12. ლa4+ მc6 13. კg5 0—0 14. ეac1 ლd8 15. მ:c6 bc 16. მ:e4 ეb8 17. მ:f6+ კ:f6 18. კ:f6 gf 19. ლ:c6 ლ:d4 20. b3 ეbd8 21. ლf3 ლb2 22. ეc3 მფg7 23. h4 ლ:a2 24. ლg4+ მფh8 25. ლf4 f5 26. ლh6 f6 27. ეc7 სკეგინა დანებდა.

ვინც ზატულოვსკაიასა და ალექსანდრიას შეხვედრებს დაკვირვებია, შეამჩნევდა, რომ დასაწყისში უპირატესობას ზატულოვსკაია ეუფლება. შემდეგ თბილისელი ოსტატი თამაშს ათანაბრებს და ბრძოლაც ყაიმით მთავრდება. ბაქოელმა მოჭადრაკემ ამჯერადაც უკეთესი დაბოლოება მიიღო. მაგრამ ალექსანდრიამ პაიკის დათმობით სხვადასხვა ფერის კუთა ყაიმის მომასწავებელი ენდშპილი შექმნა.

ლაზიერის შეწირვით შამათის გამოცხადება იშვიათი მოვლენაა. სწორედ ამიტომ გვხიბლავს კობაიძის კომბინაცია. ნიუნმერტმა 23 სვლაში წააგო პარტია.

კვლავ იყოჩაღა ხუბულურმა, რომელმაც ადვილად დაარწმუნა სანაძე მისი სტრატეგიის მცდარობაში.

გულუხვობას იჩენს ერეტოვა. ჩაიკოვსკაიასთან მან უარი თქვა მცირე უპირატესობაზე და ყაიმს დათანხმდა — მოსაფიქრებელი დრო ცოტა მქონდაო. 15 სვლაში დაზავდნენ ვრეკენი და პოლიქრონიადე. მათ გაითამაშეს ვენური დაცვის XIX საუკუნეში გავრცელებული ვარიანტი.

გადადებული პარტიების დამთავრება. IV ტურის: ჩაიკოვსკაია — ზატულოვსკაია 0,5:0,5, ხუგაშვილი — კაკაბაძე (კვლავ გადაიდო); V ტურის: ზატულოვსკაია — ალექსანდრია 0,5:0,5, კახაბრიშვილი — რაძიკოვსკა (კვლავ გადაიდო).

ამბობენ, ეტლების ენდშპილი არ მოიგებაო. მართლაც, ზატულოვსკაია ჩაიკოვსკაიასთან ეტლების ენდშპილში, სადაც მას ზედმეტი პაიკიც ჰქონდა, ვერაფერს გახდა. სხვადასხვა ფერის კუთა ენდშპილიც თითქმის მუდამ ყაიმით მთავრდება. ამიტომ მხოლოდ 2 სვლა გაკეთდა ზატულოვსკაია — ალექსანდრიას პარტიაში და მეტოქენი დაზავდნენ.

კახაბრიშვილი დიდი მოთმინებით თამაშობდა ზედმეტი პაიკის რეალიზებისთვის. შეწყვეტილ პოზიციაში მისი გამარჯვება ეჭვს არ იწვევს. ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა ხუგაშვილი — კაკაბაძის შეხვედრა.

**თ. გიორგაძე.**

ჭადრაკი

# 29 მაისს „უემბლიზე“

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში ტურინის „იუვენტუსმა“ გასულ ოთხშაბათს თავის მინდორზე მიიღო ლისაბონის „ბენფიკა“ (პირველი მატჩი მოიგეს პორტუგალიელებმა — 1:0).

**„იუვენტუსი“:** ანძოლინი, როვეტა, ბერჩელინო, კასტანო, სალვადორე, დელ სოლი, ჩინეზინიო, მაგნუსონი, ძიგონი, ლეონჩინი, მენიკელი.

**„ბენფიკა“:** ენრიკე, ადოლფო, უმბერტო, ჟასინტო, კრუზი, გრასა, კოლუნა, აუგუსტო, ტორესი, ეუსებიო, სიმოესი.

პირველი ნახევარი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. მეორე ტაიმში „იუვენტუსი“ მეტს უტევდა, მაგრამ 68-ე წუთზე პორტუგალიელთა საუკეთესო სნაიპერმა ეუსებიომ გაიტანა გოლი და „ბენფიკამ“ შეძლო ამ ანგარიშის შენარჩუნება. იგი გათამაშების ფინალში გავიდა.

• • •

მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუს“ მინდორზე 120 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი, რათა ენახა ამავე გათამაშების საპასუხო ნახევარფინალური მატჩი ადგილობრივ „რეალსა“ და ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედს“ შორის (პირველი მატჩი ინგლისელებმა მოიგეს — 1:0).

**„რეალი“:** ბეტანკორი, გონსალესი, სუნსუნეგი, სოკო, სანჩისი, პირი, გროსო, პერესი, ამანსიო, ველასკესი, ხენტო.

**„მანჩესტერ იუნაიტედი“:** სტეპნი, დანი, ფოულქსი, სადლერი, ბრენანი, სტაილსი, კრერანდი, ბესტი, რ. ჩარლტონი, კიდი, ასტონი.

„რეალმა“ თამაში ხანგრძლივი შტურმით დაიწყო. გუნდი 9 მოთამაშით უტევდა, ხოლო ამდენივე ინგლისელი დაცვაში იყო. პირველი გოლი თავური დარტყმით გაიტანა პირიმ, შემდეგ ამანსიომ მეორედ აიღო მანჩესტერელთა კარი — 2:0. პირველი ნახევრის დასასრულს ბრენანმა ბურთი „რეალის“ კართან მიაწოდა და სოკომ იგი საკუთარ კარში ჩაჭრა — 1:2. წუთიც არ გასულა და ხენტოს გადაცემიდან ამანსიომ კვლავ აიღო სტუმართა კარი — 3:1.

მეორე ნახევარში სადლერმა და ფოულქსმა შეძლეს 2 გოლის გატანა „რეალის“ კარში — 3:3.

მატჩის დამთავრების შემდეგ გაafთრებულმა მადრიდელმა გულშემატკივრებმა მინდორზე სხვადასხვა საგნის ტყორცნა იწყეს და ბოთლით დაზიანეს ინგლისელი სტაილსი (ალბათ, იმის გამო, რომ მთელი მატჩის მანძილზე სტაილსი საკმაოდ უხეშად „ნადირობდა“ ამანსიოზე).

ამრიგად, 29 მაისს ლონდონის „უემბლის“ მინდორზე ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ლისაბონის „ბენფიკა“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“.

## ბაზრობათა თასზე

ლიდსში ბაზრობათა თასის საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში შეხვდნენ „ლიდს იუნაიტედი“ და შოტლანდიის „დანდი“ (პირველი მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1). მატჩი ლიდსელთა უპირატესობით წარიმართა, რომლებმაც გაიმარჯვეს კიდეც — 1:0.

თასის ფინალში „ლიდს იუნაიტედი“ შეხვდება იტალიის „ბოლონიასა“ და უნგრეთის „ფერენცვაროშს“ შორის გამარჯვებულს.

(საქ. ინფ.).

ფეხბურთი



პრაღა. მშვიდობისა და მეგობრობის ესტაფეტა ჩეხოსლოვაკიის ასობით ქალაქსა და სოფელს გაივლის. მის მონაწილეებს მოაქვთ ჩეხოსლოვაკიელთა მიმართვა საბჭოთა კავშირის ხალხისადმი.

ს უ რ ა თ ზ ე: ჩეხოსლოვაკიური სპორტის ცნობილი ვეტერანები, ცოლ-ქმარი დანა ზატოპკოვა და ემილ ზატოპეკი ესტაფეტის პირველ ეტაპზე.

ტელეფოტო ჩტკ-საკდესისა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტული ბაზრები

**ჭადრაკი.** რუსთაველის სახ. თეატრის მცირე დარბაზი (რუსთაველის პრ. № 17). ქალთა საერთაშორისო ტურნირი. დღეს — VII ტური. დასაწყისი 11 ს.

**ფეხბურთი.** „დინამოს“ სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის I ჯგუფი. „დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (დონეცკი). 19 მაისი.— დუბლშემადგენლობანი, 20-ში— ძირითადი შემადგენლობანი. მატჩების დასაწყისი 18 ს. 15 წ.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 03244